საქმე დს-შ/5-15 **6 მაისი, 2015 წელი**

ქ. თბილისი

მიღების ადგილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი,
ნუგზარ სხირტლაძე (მომხსენებელი მოსამართლე)

სხდომის მდივანი - მ. გ.

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ლ. ს.;

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენელი - თ. ხ.;

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 16 ივლისის №164/13 გადაწყვეტილება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ნ. ა-ს საჩივრის საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, ადვოკატ ლ. ს-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი აწარმოებდა სამოქალაქო საქმეს, სადაც მოპასუხე მხარე იყო ადვოკატი ლ. ს. ყველა საპროცესო დოკუმენტში ადვოკატი ლ. ს. ადვოკატ ნ. ა-ს მოიხსენიებდა როგორც უცოდინარ, გაუნათლებელ და არაკომპეტენტურ ადამიანს. პროცესის მიმდინარეობისას გამოხატავდა აგრესიას და არაერთხელ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის გამოც ადვოკატი ლ. ს. მოსამართლემ დააჯარიმა. საჩივრის ავტორი აღნიშნავდა,

რომ სასამართლო პროცესზე იგი მოქმედებდა კლინეტის ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით და მხარეებს უსვამდა იმ შეკითხვებს, რომლებიც კავშირში იყო განსახილველ საქმესთან. 16.07.2014წ. ეთიკის კომისიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დააზუსტა საჩივარში მოყვანილი გარემოებები და განმარტა, რომ მას ადვოკატი უმიზეზოდ აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობისას ადვოკატმა მას უზრდელი უწოდა. სხდომის დამთავრების შემდეგ კი, მომჩივანსა და მოპასუხეს შორის კონფლიქტი წარმოიშვა, რასაც ლ. ს-ს მხრიდან ფეხის მოქნევა მოჰყვა.

ადვოკატმა ლ. ს. ეთიკის კომისიაში წარადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ნ. ა-მ ეთიკის კომისიაში მას შემდეგ შეიტანა საჩივარი, რაც ლ. ს-მა შეიტანა მის წინააღმდეგ საჩივარი. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნულ საქმეში მონაწილეობდა არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც მოპასუხე მხარე. ამდენად, ის არ უნდა აღიქმებოდეს როგორც ადვოკატი ამ საქმეში, რადგან აღნიშნული პროცესი ეხებოდა მის პირად საქმეს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი არ არის ეთიკის კომისიის გადასაწყვეტი.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 16.07.14წ. გადაწყვეტილებით ადვოკატი ლ. ს. ცნობილ იქნა ბრალეულად „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევაში, რისთვისაც მას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - გაფრთხილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორი ნ. ა. წარმოადგენდა ლ. ლ-ს ინტერესებს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმეზე №2/9488-13 მოპასუხე ლ. ს-საგან თანხის დაბრუნების თაობაზე. ადვოკატი ლ. ს. მოცემულ სამოქალაქო საქმეზე იყო მოპასუხე მხარე. სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, სხდომის დარბაზში ადვოკატსა და მომჩივანს შორის სიტყვიერი შელაპარაკებით დაიწყო კონფლიქტი, რომელიც დასრულდა მცირე ფიზიკური შეხებით, კერძოდ, მომჩივნის მიერ ხელთ არსებული ჩანაწერის ქნევით, ხოლო ადვოკატის მხრიდან სიტყვიერ შელაპარაკებასთან ერთად ფეხის მოქნევით.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. ს-ს მიერ დაირღვა „ადვოკათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“. ასევე, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნაში მოქმედ ქცევის წესებს“.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმინობას. ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა

და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზიგადოებაში და ხელს უშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ეთიკის კომისიამ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზე (R.S. Z.V. SwitzerLand), სადაც აღინიშნა, რომ პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.

ეთიკის კომისიიის შეფასებით, ის ფაქტი, რომ ლ. ს. სამოქალაქო დავაში იყო მოპასუხე მხარე, არ ცვლის იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მან ნ, ა-ს შეურაცხყოფა მიაყენა, ვინაიდან მოპასუხე მხარისათვის და სასამართლოსათვის მისი პროფესიის შესახებ ცნობილი იყო და მისი ქმედება აღიქმებოდა როგორც არა ფიზიკური პირის, არამედ როგორც ადვოკატ ლ. სუ-ს ქმედება.

მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა ლ. ს.მა, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 16.07.14წ. გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სრულიად დაუსაბუთებელი და უკანონოა. ასევე აღნიშნა, რომ კონკრეტულ სამოქალაქო დავაზე მოსამართლემ გამოაცხადა შესვენება და დახურა სასამართლო სხდომა. ლ. ს. იმყოფებოდა მისთვის განკუთვნილ ადგილას, რა დროსაც მასთან მიიჭრნენ მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი და მოსარჩელე ლ. ლ-მა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. აღნიშნულმა ადვოკატი აღაშფოთა და შეეცადა ფეხით მოეშორებინა მომხდურნი. ამის შემდეგ ნ. ა-ს მიერ დაშვებულ დარღვევებთან და გადაცდომებთან დაკავშირებით განცხადებით მიმართა ადვოკატთა ასოციაციას რეაგირებისათვის. ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება და ადვოკატ ნ. ა-ს განესაზღვრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. ამის შემდეგ ნ. ა-მ შეიტანა ლ. ს-ს მიმართ საჩივარი. ადვოკატის განმარტებით, იგი განსახილველ საქმეში მონაწილეობდა როგორც მოპასუხე მხარე და არა ადვოკატი. მას მიაჩნია, რომ მოცემული საკითხის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში, დისციპლინური დებულებიდან გამომდინარე სუბიექტის არ არსებობის გამო.

ადვოკატი ლ. ს. ასევე მიუთითებს ეთიკის კომისიის მიერ დაშვებულ პროცესუალურ დარღვევებზე, კერძოდ, დარღვეულია გადაწყვეტილების გამოტანისთვის დებულებით დადგენილი ვადა, ასევე ადვოკატისთვის არ ჩაუბარებით არც საქმის განხილვის შეჩერების და შემდგომ განახლების შესახებ გადაწყვეტილებები. ასევე ვადის დარღვევით ჩაბარდა მას გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა ლ.ს-მა მოითხოვა ეთიკის კომისიის 16.07.2014წ. გადაწყვეტილების გაუქმება.

სადისციპლინო პალატის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დააზუსტა მოთხოვნა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და დისციპლინური დევნის შეწყვეტა მოითხოვა.

სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი თ. ხ. არ დაეთანხმა წარმოდგენილ საჩივარს და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება მოითხოვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ ლ. ს-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და წესით. ადვოკატ ლ. ს-ს მიმართ დისციპლინური სახდელის სახედ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება. ამავე კანონის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საჩივრის ავტორი ნ. ა. ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე წარმოადგენდა ლ. ლ-ს ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც მოპასუხე მხარე იყო ლ. ს. სხდომის დასრულების შემდეგ, სხდომის დარბაზში მხარეებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება გადაიზარდა კონფლიქტში, რაც მცირე ფიზიკური შეხებით, კერძოდ, ლ. ს-ს მხრიდან სიტყვიერ შელაპარაკებასთან ერთად ფეხის მოქნევით დასრულდა. ადვოკატი ნ. ა. თავის საჩივარში მიუთითებს ასევე ადვოკატ ლ. ს-ს არაეთიკურ ქცევებზე, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილ არაერთ დოკუმენტში მისი შეურაცხმყოფელად (უცოდინარი, გაუნათლებელი, არაკომპეტენტური, უზრდელი, ქუთაისიდან ჩამოთრეული, საუნის, თურქეთის „პუტანკა“) მოხსენიება. ადვოკატი ლ. ს. პროცესის მიმდინარეობისას ასევე გამოხატავდა აგრესიას და საჩივრის ავტორს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ლ. ს-ს საჩივრის ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ იგი არ არის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული სუბიექტი და მოცემული დისციპლინური საქმის განხილვა არ შედიოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში, ვინაიდან საქმეში გამოდიოდა მხარედ და არა წარმომადგენლად. საქართველოს

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს, ანუ ისეთ ქცევის წესებს, რომლებიც უკავშირდება საადვოკატო საქმიანობას. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას“. სადისციპლინო პალატას მიაჩნია, რომ ადვოკატის მიმართ პროფესიული მოთხოვნები არ შემოიფარგლება მხოლოდ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის ჩამონათვალით და იგი ვრცელდება ადვოკატებს შორის ურთიერთობაზე. სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლი სრულად ჩამოთვლის დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლებს და ეთიკის კომისია ამ შემთხვევაში უფლებამოსილია ნებისმიერი საფუძვლით შესული საჩივარი, გამოიკვლიოს, შეისწავლოს და ამის შემდეგ მიიღოს მასზე დისციპლინური დევნის აღძვრის ან არაღძვრის შესახებ გადაწყვეტილება. ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველია ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე, რაც სახეზეა ამ კონკრეტულ შემთხვევაში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება კანონს, პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“. მართალია, ადვოკატი ლ. ს. მოცემულ სამოქალაქო დავაში გამოდიოდა მხარედ, მაგრამ პროფესიული ქცევის ნორმების დაცვა ადვოკატს მართებს არა მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, არამედ სასამართლოში მხარედ გამოსვლის შემთხვევაშიც. საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობა არ შემოიფარგლება სასამართლო დარბაზით. ლ. ს. 2006 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას. ის გარემოება, რომ სასამართლო პროცესზე ლ. ს. გამოდიოდა არა წარმომადგენლად, არამედ მხარედ, არ ათავისუფლებდა მას პროფესიული ქცევის წესის დაცვისაგან. ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში. ასე მაგ: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“; მე-9 მუხლის შესაბამისად, „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს, ან უცხო ქვეყნის სასამართლოს, ან ტრიბუნალის წინაშე,

ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს"; მე-10 მუხლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას". ამდენად, აღნიშნული ნორმები ვრცელდება სასამართლოს გარეთ ადვოკატებს შორის ურთიერთობაზეც, ხოლო ამ წესების დაცვა ადვოკატს მით უფრო მართებს სასამართლო დარბაზში, როდესაც ყველასთვის ცნობილია მისი პროფესიული სტატუსი, მისი ქმედება აღიქმება არა როგორც ფიზიკური პირის, არამედ როგორც ადვოკატის ქმედება. ამდენად, სადისციპლინო პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის დასკვნას იმის შესახებ, რომ ადვოკატი ლ. ს. თავისი ქცევით - მოსარჩელე მხარის ადვოკატის შეურაცხყოფით, არ გაუფრთხილდა პროფესიულ პრესტიჟს, არ გამოიჩინა მოთმინება და უგელებელყო პროფესიული ქცევის წესები. ადვოკატის ქცევა უნდა პასუხობდეს ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში, სასამართლო დარბაზში ლ. ს-ს ნებისმიერი მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ადვოკატის პროფესიულ ღირსებას, ეთიკის სტანდარტებს, რომლის დაცვაზეც უნდა ზრუნავდეს ადვოკატი, მიუხედავად იმისა, წარმოადგენდა თუ არა ის კლიენტს, თუ თავად იყო მხარე სასამართლოში.

სადისციპლინო პალატის სხდომაზე ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა წერილობითი მოსაზრება წარმოადგინა და მიუთითა ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება ეთიკის კოდექსის გავრცელების ფარგლებს ადვოკატებთან მიმართებაში (იხ. ვებ-გვერდი www.gba.ge). წარმოდგენილი პრაქტიკის თანახმად, კონკრეტულ ფაქტებს ადგილი ჰქონდა არა უშუალოდ პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, არამედ სასამართლო შენობის ეზოში, კლიენტის სახლში, ექიმის კაბინეტში, ინფორმაციულ ქსელებში და ა.შ.. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით უზრუნველყოფილია ყველა ადამიანის სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, თუმცა ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ამ ნორმით გათვალისწინებულ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ შეურაცხყოფა ორმხრივ ხასიათს ატარებდა. აღნიშნული ადვოკატს არ ათავისუფლებს დადგენილი ქცევის წესების დაცვისაგან, ვინაიდან მის მიმართ მოქმედებს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" სპეციალური ნორმები. კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ ეთიკის კომისიის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია პროცესუალური დარღვევებით, ამასთან დაკავშირებით სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის

შესაბამისად, ადვოკატის მიმართ დისციპლინურ დევნას აღძრავს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, რომელიც ინფორმაციის შემოსვლიდან ერთი თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას დევნის აღძვრის ან დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოების მიმდინარეობა ორ ეტაპად არის დაყოფილი, საპროცესო კოლეგიაში და განხილვის კოლეგიაში (5.1 მუხ.). ამავე დებულების მე-13 მუხლის თანახმად, საპროცესო კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საჩივრის ან მიმართვის მიღებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო განხილვის კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან სამი თვის ვადაში. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ლ. ს-ს მიმართ საჩივარი ეთიკის კომისიაში შეტანილ იქნა 25.12.2013წ., დისციპლინური დევნა აღიძრა კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში - 13.02.2014წ., ვადა დარღვეული არ ყოფილა, ვინაიდან მოცემული დისციპლინური საქმე ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებით 2014 წლის 21 იანვრიდან 11 თებერვლამდე შეჩერებული იყო. დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. ს-ს ჩაბარდა 19.04.2014წ. - 2 თვის დაგვიანებით. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა თ. ხ-მა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მიუთითა, რომ პროცესუალურ დარღვევებს ჰქონდა ადგილი. საქმის განხილვის გაჭიანურება ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმით, რომ ამ პერიოდში მიმდინარეობდა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის არჩევნები, რის გამოც გარკვეული პერიოდი დასჭირდა ეთიკის კომისიაში კოლეგიების დაკომპლექტებას, რასაც არსებითი გავლენა არ მოუხდენია გადაწყვეტილების მიღებაზე, იმდენად, რამდენადაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონშესაბამისია. დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ იქნა 16.07.2014წ., რომელიც ლ. ს-ს დაგვიანებით - 07.03.2015წ. ჩაბარდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მხრიდან ადგილი ჰქონდა პროცესუალურ ხარვეზებს. ეთიკის კომისიამ ვერ დაიცვა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების შესაბამისი ნორმები და გადაწყვეტილება მიიღო საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების ჩაბარებისათვის დადგენილი ვადების დარღვევით, რის დაუშვებლობაზეც სადისციპლინო პალატა ხაზგასმით მიუთითებს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას. ამასთანავე, სადისციპლინო პალატა თვლის, რომ დისციპლინური საქმის წარმოების ორგანიზაციული ნაკლოვანებებით გამოწვეული პროცესუალური ხარვეზები არ ცვლის ჩადენილი დარღვევის არსს. პროცედურულ დარღვევებს არ შეეძლოთ არსებითი ზემოქმედება მოეხდინათ საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც ისინი ვერ გახდება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან მათ არ გამოუწვევიათ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

სადისციპლინო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის – გაფრთხილების შეფარდებასთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატა თვლის, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე. ამდენად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომების შესაბამისია.

სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ყოველმხრივ და ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად, ადვოკატ ლ. ს-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და „ადვოკატთა შესახებ" კანონის ნორმები, შესაბამისად, ადვოკატის ქმედებებს მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და მას კანონიერი და სამართლიანი სახდელი დაეკისრა.

ამდენად, სადისციპლინო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. შესაბამისად, საჩივრის ავტორის ლ. ს-ს მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 69-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტით, 70-ე მუხლით (კანონის ანალოგია) და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ლ. ს-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 16 ივლისის №164/13 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე /მაია ვაჩაძე/

მოსამართლეები: /ვასილ როინიშვილი/

/ნუგზარ სხირტლაძე/